

შპს „აისბერგი-9“

2021 წლის
ფინანსური ანგარიშგება

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის**

საწარმოს დასახელება

აისბერგი-9

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა

შპს

საიდენტიფიკაციო კოდი

445384682

მისამართი

ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ქ. №73ა

საქმიანობის დარგი

**საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ
მაღაზიებში, უპირატესად საკვები
პროდუქტებით, სასმელებით ან
თამბაქოს ნაწარმით;
საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო
მასალებით**

	31.12.2021წ.	31.12.2020წ.
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	254,997	122,268
სავაჭრო მოთხოვნები	1,003,970	790,517
სხვა პირებზე გაცემული ავანსები	54,518	
მარაგები	2,180,987	1,667,746
- მზა პროდუქცია	2,075,746	1,432,674
- სხვა	105,241	235,072
საინვესტიციო ქონება		
სხვა მიმდინარე აქტივები		
ბიოლოგიური აქტივები		
- თვითღირებულების მოდელით		
- გადაფასების მოდელით		
გუდვილი		
სხვა არამატერიალური აქტივები		
ძირითადი საშუალებები	1,664,881	1,655,745
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში		
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში		

სხვა გრძელვადიანი აქტივები		
სულ აქტივები	5,159,353	4,236,276
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		
სავაჭრო ვალდებულებები	1,367,097	1,605,010
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		
საგადასახადო ვალდებულებები		23,522
გამოუმუშავებელი შემოსავალი		
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	2,638,882	2,272,866
მიღებული გრანტები		
სხვა ვალდებულებები		
სულ ვალდებულებები	4,005,979	3,901,398
საკუთარი კაპიტალი	294,265	60,000
საემისიო შემოსავალი		
გამოსყიდული საკუთარი აქციები		
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	859,109	274,878
გადაფასების რეზერვი		
სხვა რეზერვი		
სულ საკუთარი კაპიტალი	1,153,374	334,878
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5,159,353	4,236,276

დირექტორი

რაულ სურმანიძე

მთ.ბუღალტერი

ნათია მახარაძე

**შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის**

საწარმოს დასახელება

აისბერგი-9

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა

შპს

საიდენტიფიკაციო კოდი

445384682

მისამართი

**ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის
ქ. № 73ა**

საქმიანობის დარგი

**საცალო ვაჭრობა
არასპეციალიზებულ
მაღაზიებში, უპირატესად
საკვები პროდუქტებით,
სასმელებით ან თამბაქოს
ნაწარმით;
საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო
მასალებით**

	ლარი	
	2021 წ.	2020წ
ნეტო ამონაგები	9,692,402	12,520,322
- საქონლის გაყიდვიდან	9,032,717	9,110,599
- მომსახურების გაწევიდან	117,919	114,260
- სხვა	546,358	3,295,463
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-7,987,644	-10,979,294
- საწყისი მარაგები	-1,667,746	-3,729,274
მათ შორის: მზა პროდუქცია	1,432,674	1,073,622
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	19,215	10,446
სამშენებლო ნედლეული	215,857	2,645,206
- მარაგების შესყიდვა	8,238,408	-8,917,766
- საბოლოო მარაგები	2,180,987	1,667,746
მათ შორის: მზა პროდუქცია	2,075,746	1,432,674

სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგები	105,241	19,215
სამშენებლო ნედლეული		215,857
საერთო მოგება	1,709,350	1,541,028
სხვა შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-317,964	-309,784
ცვეთა/ამორტიზაცია	-90,282	-65,862
იჯარის ხარჯი	-319,318	-252,135
საპროცენტო შემოსავალი		
საპროცენტო ხარჯი	-118,553	-81,519
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-339,002	-795,233
სულ საოპერაციო ხარჯები	-1,185,119	-1,504,533
საოპერაციო მოგება	524,231	36,495
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები		
მარაგები		
სხვა არაფინანსური აქტივები		
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		
მიღებული დივიდენდები		
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)		
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	524,231	36,495
მოგების გადასახადი		
მოგება/ზარალი	524,231	36,495
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რეზერვი და დადგენილ გადასახდელიანი პროგრამები)		
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ		
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	524,231	36,495
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	334,878	238,383

ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		60,000
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები	294,265	334,878
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1,153,374	

დირექტორი

რაულ სურმანიძე

მთ.ბუღალტერი

ნათია მახარაძე

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „აისბერგი-9“ სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილი აქვს 2010 წლის 25 მარტს მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 445384682. საწარმოს დამფუძნებელი პარტნიორია ფიზიკური პირი რაულ სურმანიძე პ/№ 61002009289 წილი 100%; საწარმოს დირექტორია - რაულ სურმანიძე ; - ნათია მახარაძე (2020 წლის 16 სექტემბრიდან) იურიდიული და ფაქტიური მისამართია - **საქართველო, ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის ქ.№73ა**

საწარმოს საქმიანობას წარმოადგენს საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, სასმელებით ან თამბაქოს ნაწარმით; საბითუმო ვაჭრობა სამშენებლო მასალებით.

2. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველები

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი, რადგან, როგორც საქართველოს ეროვნული ვალუტა, ის მეტწილად ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წარსადგენ ვალუტას, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის. ლარში წარმოდგენილი ყველა ფინანსური ინფორმაცია დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე. კონვერტირებადი ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების დღისათვის, ამასთანავე საანგარიშო წლის ბოლო თარიღით ხდება მათი გადაფასება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. კონვერტაციის შედეგად წარმოშობილი კურსთა შორის სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე, მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს გადაფასება არ ეხება არაფულად აქტივებს, რომლებიც წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით და რომელიც ლარში გადაყვანილია მათი სამართლიანი ღირებულების შეფასების დღის შესაბამისი კურსით.

2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი;	ევრო;
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	3.2766	4.0233
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	3.0976	3.5040

ფული და ფულის ექვივალენტი

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე და საბანკო დეპოზიტზე (შემნახველი ანგარიში).

ფული და ფულის ექვივალენტი

დასახელება	ნაშთი 31.12.2021
ნაღდი ფული	60,869
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშზე	194,128
ფულადი სახსრები საბანკო დეპოზიტზე	
ჯამი:	254,997

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება-ზარალში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

(ლარი)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

დასახელება	ნაშთი 31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები	601,282
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	
მოთხოვნები სამშენებლო პროექტიდან	402,688
მოთხოვნები სესხის პროცენტზე	
ჯამი:	1,003,970

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ძირითადი საშუალებების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

კომპანია ძირითად საშუალების თავდაპირველი აღიარებისას აფასებს თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ ხარჯს. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი

აღმატება სტანდარტულ პერიოდს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრება სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით.

თავდაპირველი აღიარების შემდგომი შეფასება ხდება თვითღირებულების მოდელით.

ძირითადი საშუალებების შეძენის შემდგომი დანახარჯები ემატება ამ აქტივის ღირებულებას ან აღიარდება ცალკე აქტივად, თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და საწარმოსათვის შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალებებისათვის კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს აქტივის თვითღირებულების ან გაუფასურებული ღირებულების განაწილებას აქტივის სასარგებლო მომსახურების მთელი ვადის მანძილზე.

სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს მთელ რიგ ფაქტორებს, კერძოდ :

- აქტივის დატვირთვა, მწარმოებლურობა
- ფიზიკური ცვეთა, ტექნიკური და კომერციული მოძველება, აქტივის გამოყენების შეზღუდვა.

საწარმო პერიოდულად ახდენს ზემოთ მოცემული ფაქტორების გათვალისწინებით მომსახურების ვადის ცვლილებას

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	20
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავტომობილები	5

ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გაყიდვის შემთხვევაში, ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივის გამოყენებით. ძირითადი საშუალების გაყიდვის ან ხმარებიდან ამოღების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებასა ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

	წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვარს	ძირითადი საშუალების შემოსვლა	ძირითადი საშუალების სგასვლა	ცვეთის ხარჯი	წმინდა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს
შენიშვნა-წაგებობები	1,307,360			47,868	1,259,492
ელექტროძრავები და დიზელ- გენერატორები	17,079			997	16,082
სატრანსპორტო საშუალებები	95,163			8,600	86,563
კომპიუტერული ტექნიკა	71,103	18,958		9,039	81,022
მანქანა-დანადგარები	55,882	5,085		6,750	54,217
ინვენტარი	89,691	42,881		13,752	118,820
სხვა ძირითადი საშუალებები	19,467	38,016		3,276	54,207
სულ ძირითადი საშუალებები	1,655,745	104,940		90,282	1,670,403

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები. თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. მარაგების გაუფასურებაზე ტესტირება არ ხდება

მარაგები

სასაქონლო მატერიალური ფასეულობა

დასახელება	ნაშთი 31.12.2021
------------	---------------------

მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში	1,432,674
მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	746

სამშენებლო ნედლეული

დასახელება	ნაშთი 31.12.2021
სამშენებლო ნედლეულის ნაშთი წლის დასაწყისში	215,857
სამშენებლო ნედლეულის ნაშთი წლის ბოლოს	

სხვა სასაქონლო მატერიალური-მარაგები

დასახელება	ნაშთი 31.12.2021
სხვა სასაქონლო მატერიალური-მარაგების ნაშთი წლის დასაწყისში	19,215
სხვა სასაქონლო მატერიალური-მარაგების ნაშთი წლის ბოლოს	105,241

დაბეგრა

კომპანიის მიმდინარე საგადასახადო დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

მოგების გადასახადი

მიმდინარე მოგების გადასახადი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, რომელშიც კომპანია ფუნქციონირებს. შესაბამისად, კომპანია ქმნის ანარიცხებს თანხებზე, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია სახელმწიფო ბიუჯეტში

2017 წლის 01 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადის ნაწილში. ახალი კანონის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრება ნულოვანი განაკვეთით მიღებული მოგების კომპანიაში რეინვესტირების შემთხვევაში და დაიბეგრება 15%-იანი განაკვეთით მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლებზე დივიდენდად გაცემის დროს. ასევე მოგების გადასახადით დაიბეგრება ინდივიდუალური ტრანზაქციები და ოპერაციები, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც საგადასახადო კოდექსის მიხედვით არ ითვლება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯად. ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება პროპორციით

15/85. ასეთი ტიპის ოპერაციები წარმოადგენენ მუდმივ სხვაობას და არწარმოქნიან გადავადებული მოგების გადასახადის წარმოქმნის პირობას.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, მოგების გადასახადი მიმდინარე ხარჯები არ კორექტირდება გადავადებული გადასახადების თანხებით, რომლებიც წარმოიშობა სხვაობიდან აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

დასახელება	ნაშთი 31.12.2021
სავაჭრო ვალდებულებები	1,367,097
ვალდებულებები მიწის მეპატრონეთა მიმართ	
ჯამი:	1,367,097

საკუთარი კაპიტალი

ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც არაკმაყოფილებენ ფინანსური ვალდებულებების აღიარების კრიტერიუმს კომპანიის მიერ აღირიცხება როგორც საკუთარი კაპიტალი. საკუთარი კაპიტალი მოიცავს საწარმოს მესაკუთრეების მიერ განხორციელებულ ინვესტიციას, ამ ინვესტიციების მატებას, რომელიც მიღებულ იქნა კომპანიის მომგებიანი საქმიანობებიდან და საწარმოში რჩება თავის საოპერაციო საქმიანობაში გამოყენების მიზნით და მესაკუთრეთა ინვესტიციის შემცირებას, რაც განაპირობა არამომგებიანმა ოპერაციებმა და მესაკუთრეებზე განხორციელებულმა განაწილებებმა.

ამონაგების აღიარება

საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი და გადაეცემა საკუთრების უფლება. მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი აღიარდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ 2020 წელს კომპანიამ მოახდინა სამშენებლო პროექტისა და მიწის რეალიზაცია, რომლის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 3,078,306 ლარი.

ამონაგები

დასახელება	ნაშთი 31.12.2021
საქონლის რეალიზაციიდან	9,032,717
მომსახურების გაწევიდან	117,919
სამშენებლო ხელშეკრულებიდან	236,385
საკურსო სხვაობიდან	305,381
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	4,591
ამონაგები მიწოდებიდან	9,696,994

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს საოპერაციო ხარჯების გაწევას, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

იჯარა

ყველა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. საოპერაციო იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში. საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

თანამშრომელთა ხარჯები და მასათან დაკავშირებული შენატანები

ხელფასი, ბონუსები, დარიცხულია წლის განმავლობაში, მაშინ როდესაც თანამშრომლებმა გაუწიეს მომსახურება კომპანიას, ხოლო ანაზღაურებადი შვებულებები, მათი ფაქტიური სარგებლობის დროს. ვინაიდან საწარმოს საადრიცხო პოლიტიკით მიმდინარე წლის გამოუყენებელი შვებულება ანაზღაურდება მომავალ პერიოდებში, არწარმოიქმნება გამოუყენებელი შვებულების რეზერვი.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების

ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

სხვა ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარ არის მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

სხვა ხარჯები

შემენილი მომსახურების ხარჯები

დასახელება	ნაშთი 31.12.2021
საიჯარო ხარჯი	319,318
სოციალური დანარიცხები	6,197
კომუნალური ხარჯი (ელ.ენერგია, ბუნებრივი აირი, წყალი)	143,332
ძირითადი საშუალებების რემონტი	21,106
კომუნიკაციის ხარჯი	5,930
ამორტიზაცია	90,282

შრომის ანაზღაურების ხარჯი	317,964
საწვავის ხარჯი	21,179
საპროცენტო ხარჯი	118,553
ბანკის მომსახურება	50,372
უარყოფითი საკურსო სხვაობა	29,063
მიწოდების ხარჯი	31,400
საოფისე ხარჯი	21,922
სხვა ხარჯები	8,500
ჯამი	1,185,119

კაპიტალის მართვა

კომპანიას არ აქვს კაპიტალის მართვის ფორმალური პოლიტიკა, თუმცა ხელმძღვანელობა ცდილობს კომპანიის სტრატეგიული საჭიროებებიდან გამომდინარე კაპიტალის შესაბამისი ბაზის უზრუნველყოფას, რაც მიიღწევა ფულის ეფექტური მართვის და კომპანიის შემოსავლის და მოგების მუდმივი მონიტორინგის საშუალებით. კომპანიაზე არ ვრცელდება კომპანიის გარეთ დაწესებული კაპიტალის რაიმე მოთხოვნები.

11.ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2021 წლის 1 იანვრის და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არის საბანკო ანგარიშებზე და სალაროში.

ფულადი სახსრები

დასახელება	ნაშთი 31.12.2020
ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	38,659
ფული საბანკო ანგარიშზე - ვალუტა	155,469
ფული სალაროში	60,869
ჯამი:	254,997